

1

თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV], მწ

(19.1) წმ. ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, VI ს

2021

ორშაბათი

ებრ 11,32-40; ფს 30; მარ 5,1-20

აუწყე, როგორ შეგიწყალა შენ
უფალმა მარ 5,19

შენს გარდა ვინ შეძლებდა, იესო, იმ საბრალოს
შეწყალებასა და ხსნას, რომლისთვისაც დემონთა
ლეგიონს წაერთმია ყოველგვარი ღირსება,
სიცოცხლე, კავშირები?

მეც ვუგალობ შენს გულმოწყალებას, ამდენჯერ
რომ გაგიხსნია და გაგითავისუფლებია ჩემი გულიც.

2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა), დ, [ს], თ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

მალ 3,1-4; ან, ებრ 2,14-18; ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ-მონაზონთა დღე

სულით აღძრული მივიდა
ტაძრად ლკ 2,27

სულით აღძრული სიმეონი მივიდა ტაძრად და ნახა იესო მშობლების მკლავებში. იგი სულიწმიდას უსმენს, უგონებს და დაჰყვება, რითაც ამოიცნობს მესიას და შეხვდება იმას, ვისაც მთელი ცხოვრება ელოდა. იესო ჩემთვისაც მამის მიერ შემოთავაზებული ხსნაა, ნათელია, მის სახეს რომ მანახებს, სიყვარულია, ჩემი ცხოვრების აზრით აღმვსებელი. მეც სული წმიდისადმი დამყოლობით შემიძლია დავაგემოვნო იესოსთან ერთობაში ცხოვრების სიხარული!

3 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV], მწ

წმ. ბლაზი, ეპ. და წამ. +IVს.;

წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპ. +865.

2021

ოთხშაბათი

ებრ 12,4-7.11-15; ფს 102; მარ 6,1-6

იესო მივიდა თავის მამულში
და მიჰყვებოდნენ მოწაფენი
მისნი მარ 6,1

იესო არ ივიწყებს თავისი სიყრმისა და ახალგაზრდობის მხარეს: მისი დასაწყისში მოინახულებს მას სული წმიდის სიყვარულითა და ძალით აღვსილი. შეუდგა კი რომელიმე მისი თანასოფელი მას მოწაფედ? ნუ გემინია, ეს შენთვისაც ღვთის საჩუქარია. დააფასე და მიიღე ის ამგვარად.

4

თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV], მწ

2021

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი

ებრ 12,18-19.21-24; ფს 47; მარ 6,7-13

მისცა მათ ხელმწიფება უწმიდურ სულებზე მარ 6,7

ხელმწიფება, რომელსაც იესო აძლევს თორმეტს, მათ ჯიბეში როდი უდევთ საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად. ეს ხელმწიფება იესოსია, იგია რომ აღასრულებს მას, იგი მოქმედებს: მისი მოწაფენი იქნებიან ამის იარაღი იმდენად, რამდენადაც დარჩებიან მასთან ერთობაში. იესო „აძლევდა“ მათ ძალმოსილებას ყოველ ჯერზე, როდესაც კი სასოებით მოუხმობდნენ მას. როდესაც სასოებით მოუხმობ, იესო კვლავაც მოქმედებს!

5 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. აგათა ქალწ. და წამებ., +≈250, (მ), წ

2021

პარასკევი

ებრ 13,1-8; ფს 26; მარ 6,14-29

იესო ქრისტე იგივეა გუშინ და
დღეს და მარად ებრ 13,8

ჩემი ბებია-ბაბუისგან მივიღე სითბო, სიბრძნე, მშვი-
ლობა და სიფაქიზე: ამ ყველაფერში შენი სიტყვა, შენი
სათქმელი გაჟღერდა, იესო; შენთან კავშირიდან მო-
მდინარეობდნენ ისინი. ჩემს სამრევლო საკრებულოში
ეს სიტყვა უფრო ნათელი შეიქნა და ახლა მეც სული
წმიდის შემწეობით ვცდილობ სხვებს გადავცე ის.
იესო, მამის მარადიულო სიტყვა, ჩვენო შემკვრელო,
გამმყარებელო, დროისა და სიკვდილის საზღვრებს
რომ სცდები: დიდება შენდა!

6 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ., +1597, (მ), წ

2021

შ ა ბ ა თ ი

ებრ 13,15-17.20-21; ფს 22; მარ 6,30-34

წამოდით უდაბურ ადგილას და
მცირედ მოისვენეთ მარ 6,31

ვიცით, რომ სხეული შეიძლება „გადაგვეწვას“, თუკი მას ზომაზე მეტად დავტვირთავთ, ამის გამო აუცილებელია დასვენება. სულიერ ცხოვრებასაც ემუქრება „გადაწვა“, ამიტომაც იესო გვიწვევს დავისვენოთ მასთან, რათა ცენტრში კვლავ ის დავაყენოთ. თუკი იესო არა ჰყავს პირველ ადგილას, ამაოდ დარბის წინამძღვარი წინ და უკან. თუკი იესო არ უყვარს მრევლს, ამაოდ იკრიბებიან სხდომებზე. თუკი იესო არაა მათი წადილი, ამაოდ ვარჯიშობენ რეპეტიციებზე მგალობლები. თუკი არ გიყვარს იესო ყოველივეზე მეტად, ამაოდ ეგებები და იტან სირთულეებს და სწევ მსახურებას.

7

თებერვალი

რიგითი V კვირალე, «ბ», [I], მწ

2021

კვირა

იობ 7,1-4.6-7; ფს 146; 1კორ 9,16-19.22-23; მარ 1,29-39

წავიდა უდაბნო ადგილას და იქ ლოცულობდა მარ 1,35

თუკი იესო პოულობდა დროს მარტოობაში ლოცვისათვის, მშვიდ ადგილას, ნიშნავს იმას, რომ ეს აუცილებელი ყოფილა ჩვენთვისაც. სული წმიდა მობილურზე როდი გვიგზავნის შეტყობინებებს, ის ჩვენს გულს ესაუბრება, ჩვენს სულს: გვმართებს დავუგდოთ მას გულისყური. ანუ, არამხოლოდ ერთობლივ ლოცვაში მიიღებ მონაწილეობას დღეს, ყოველკვირეულ პასექზე, არამედ პირისპირ დარჩები აღმდგარ იესოსთან, რათა გაიგო, როგორ იცხოვრო.

8 თებერვალი

რიგითი ქამის V კვირა [I], მწ

(26.1) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIII სს; /წმ. იერონიმე
ემილიანი, +1537; /წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწ., +1947

2021

ორშაბათი

დაბ 1,1-19; ფს 103; მარ 6,53-56

უმალვე იცნეს იგი იქაურებმა მარ 6,54

სულო წმიდაო, შენ მეც, ესოდენ უბრალოსა და უძლურს, იესოს ამოცნობის უნარი მომეცი. დამაგემოვნებინე მისი საოცარი სიყვარული, მაგებინებ მის სიტყვებს. ისლა დამრჩენია, რომ მაღლობა გითხრა და მასთან მივიყვანო ყველა, ვინც მიყვარს.

9 თებერვალი

რიგითი ქაშის V კვირა [I], მწ

2021 სამშაბათი

დაბ 1,20 - 2,4; ფს 8; მარ 7,1-13

ეს ხალხი მადიდებს
თავისი ბაგით, მაგრამ მისი
გული შორსაა ჩემგან მარ 7,6

ლოცვა ლოცვების კითხვას როდი ნიშნავს.

იმასთან ყოფნაა, ვისაც ვუყვარვარ და ამის გამო
ვუსმენ მას, ვმადლობ, ვთხოვ მოტევენას, ვეკითხები,
რა გაახარებდა ჩემგან, საშუალებას ვაძლევ ჩამო-
მაყალიბოს თავის გემოზე. ბაგეები დადუმდეს, რაკი
გული საუბრობს სიხარულით.

10 თებერვალი

რიგითი V კვირა [1]

წმ. სქოლასტიკა, ქალწ. +ა542, (მ), თ

2021

ოთხშაბათი

დაბ 2,4-9.15-17; ფს 103; მარ 7,14-23

მისმინეთ ყველამ და შეიმეცნეთ

მარ 7,14

რაოდენ დიდი სიყვარულით გიყვარს ადამიანი,
იესო! შენ აქცევ მას იმ შვილად, რომლის
განკარგულებაშია მამის ხელიდან გამოსული
ყოველი ქმნილება, – რაკი მისთვისაა შექმნილი
ყოველივე! –, და რომლის გულს საზრდოდ მხოლოდ
წმიდა სულის ნაყოფი თუ გამოადგება: სიყვარული,
სიხარული, მშვიდობა, სიკეთე, კეთილმოსურნეობა,
სიმდაბლე, ერთგულება, საკუთარი თავის მოთოკვა.
მადლობა, იესო!

11

თებერვალი

რიგითი V კვირა [I], მწ

(29.1) წმ. აშოტ დიდი კურაპალატი, წამებ., +826;
ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858

2021

ხუთშაბათი

დაბ 2,18-25; ფს 127; მარ 7,24-30

სნეულთა დღე

წადი, გამოვიდა ეშმაკი შენი ასულისაგან მარ 7,29

ყოვლადწმიდა მარიამ, როგორც მაშინ, როცა ლურდში ეცხადებოდი ლატაკ ბერნადეტას, დღესაც ლოცულობ და ითხოვ ჩვენგან, რომ ვილოცოთ: შენს დედობრივ გულს სწადია რომ ყოველი შენი შვილი, მტრის გავლენისაგან თავისუფალი, იცნობდეს იმ სიხარულსა და სიყვარულს, რომლისთვისაც ინდომეს და შექმნეს იგი. მადლობა, მარიამ!

12 თებერვალი

რიგითი V კვირა [I], მწ

2021

პარასკევი

დაბ 3,1-8; ფს 31; მარ 7,31-37

უბრძანა მათ,
არავისთვის ეთქვათ მარ 7,36

იესომ ყრუმნუჯს გაუხსნა ბაგე და სასმენელი; გაიყვანა ცალკე, ხელებითა და გულით იმოქმედა, მამისა და ამ საბრალო ადამიანის სიყვარულისათვის.

მეც ვისურვებდი, იესო, ყოველივე მეკეთებინა მხოლოდ მამის სადიდებლად, იმ მამისა, რომელსაც უყვარს ყოველი ადამიანი და სურს იგი მრთელი და კმაყოფილი!

13 თებერვალი

რიგითი V კვირა [I], მწ

2021

შ ა ბ ა თ ი

დაბ 3,9-24; ფს 89; მარ 8,1-10

მეცოდება ეს ხალხი მარ 8,2

იესოს მეცოდება ხალხი, სამი დღის განმავლობაში რომ იყო მასთან. ხედავს, რომ იგი საჭიროა მათთვის, თავისი სიტყვით, რათა ცხოვრებაში ნამდვილი ორიენტირი პოვონ, აწმყოსათვის ძალა და სიხარული მიიღონ, ხოლო მომავლისათვის კი იმედი. როგორც მაშინ, დღესაც გვჭირდება იესო, და დღესაც სტკივა მას ჩვენი ტკივილი და კვლავაც გვაწვდის თავის სიტყვასა და პურს, რათა გვიხსნას ცოდვისა და მისი შედეგებისაგან და გული პირთამდე აგვივსოს.

14

თებერვალი

რიგითი VI კვირალე, «ბ», [II], მწ

2021

კვირა

ლევ 13,1-2,44-46; ფს 31; 1კორ 10,31-11,1; მარ 1,40-45

მოდით თქვენ მასთან ყოველი მხრიდან მარ 1,45

იესო, კეთროვნისადმი შენი თანაღმობისათვის განიღვენე ქალაქიდან. მაგრამ, შენთან მოდიოდნენ ყოველი მხრიდან! მადლობა, რომ ჩემი კეთრიც იტვირთე შენ, ჩემი ცოდვა; ამისათვის კი ქალაქიდან განგდევნეს და ჯვარს გაცვეს. მადლობა, რომ შენი ჯვრიდან ძლევამოსილი ყველას იზიდავ შენკენ!

15 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II], მწ

2021

ორშაბათი

დაბ 4,1-15.25; ფს 49; მარ 8,11-13

მიაჯოვა ისინი და გაღმა გავიდა

მარ 8,13

იმ ნაპირზე, საიდანაც იყო მოსული, იესოს სამი დღის განმავლობაში დიდძალი ხალხი ეხვია, უსმენდა მას და უფრო ის აინტერესებდათ, ვიდრე ჭამა. ტბის ამ მეორე ნაპირზე კი დახვდა ხალხი, ვისაც იმ მართლებად მოჰქონდათ თავი, იგი რომ არა სჭირდებოდათ; მეტიც, მისი განსჯის ნებასაც კი აძლევენ საკუთარ თავს და არაჩვეულებრივი ნიშნის მოთხოვნით მის გამოცდასაც კი ბედავენ. იესოც ქუდს დაიხურავს და შესცურავს ზღვაში. დღეს შევეცდები სწორ ნაპირზე დავხვდე მას...

16 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II], მწ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

დაბ 6,5-8; 7,1-5.10; ფს 28; მარ 8,14-21

ნოემ მადლი პოვა უფლის თვალში დაბ 6,8

ჩვენს ირგვლივ რამდენი რამ ამწუხრებს მამის გულს: ომები, სიხარბე, უზნეობანი, ლალატი, გულგრილობა... ჩვენ, ქრისტიანები არც განვიკითხავთ და არც გულს ვიტყბთ: მისი გულმოდგინებით შეკრებილნი ეკლესიის წმიდა კიდობანში, ნოეს მსგავსად, ვცდილობთ ოდენ სათნონი ვიყოთ მისთვის; იგი თავად გაგვხდის მრავალთათვის კურთხევისა და თვისი სიყვარულის ნიშნებად.

17 თებერვალი

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV], ი

2021 ოთხშაბათი

იოვ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 - 6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

მ. სიმონ კლიმაშვესკის გახსენება (+2006)

მამა შენი, რომელიც ხედავს
დაფარულს, მოგაგებს შენ მთ 6, 4

იესო მიწვევს, ვიცხოვრო შინაგანად, ვასაზრდოო
ის სულიერი სიცოცხლე, ის ურთიერთობა მასთან
და მამასთან, რომელიც მიმართულებას ანიჭებს
ყოველივეს, რასაც ვამბობ, ვფიქრობ, ვაკეთებ. დი-
დმარხვის ეს ჟამი ის შესაძლებლობაა, რომელსაც
ხელიდან არ გავუშვებ, რათა მამამ განმაახლოს,
ლოცვით, მარხვითა და ძმებისადმი ყურადღებით,
სურს გამათავისუფლოს მრავალი ტვირთისაგან,
რათა სანაცვლოდ მომანიჭოს თავისი ძე იესო!

18 თებერვალი

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

2021 ხუთშაბათი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

ვინც ჩემი გულისთვის
დაღუპავს თავის სიცოცხლეს,
ის იხსნის მას ლკ 9,24

შევაბიჯეთ ღიდმარხვის წმიდა ჟამში. იესოს დარად, როდესაც იგი შევიდა თავისი მამისადმი საგანგებო სიყვარულის ორმოცდღეულში, ჩვენც გავუწოდოთ ხელი წმიდა სულს. იგი წარგვიძღვება იქ, სადაც ჩვენც შეგვეძლება იესოსთან ერთად მივეძღვნათ მამას, დაგკარგოთ ჩვენი სიცოცხლე მასთან ერთად და მისთვის. და მამაც აღგვადგენს ახალი, მისი სიყვარულით სავსე სიცოცხლისათვის.

19 თებერვალი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

2021

პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

განა შეუძლიათ იგლოვონ
მექორწილებმა ვიდრე ნეფე
მათთან არის? მთ 9,15

თუკი ჩვენი ღედა ეკლესია მარხვისაკენ გვიწვევს ამ წმიდა ჟამს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ნეფე იესო ჩვენთან აღარაა? რა თქმა უნდა, არა: მან აღგვითქვა, რომ ჩვენთან იქნებოდა ყოველ დღე! თუმცა ზოგიერთს ჯერაც არ მიუღია მისი სტუმრობის მაღლი... და ჩემს გულშიც, სამწუხაროდ, პირველი ადგილი მუდამ მას როდი უჭირავს... მაშ, მთელი ძალღონით შევუდგებით ნამდვილ მარხვას, რომელსაც წარუძღვება და შეეწევა წმიდა სული, სიყვარული.

20 თებერვალი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

2021

შ ა ბ ა თ ი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

მომყევი! ლკ 5,27

ამ შენმა ერთმა სიტყვამ, იესო, შეცვალა მათეს ცხოვრება: თავკერდა, ფულის მონა აქცია შენს კვალში მავალ ძმათათვის გაწვდილ ძღვნად. ამ წმიდა დიდმარხვაში მეც დავანებებ, რომ შენმა სიტყვამ გადაქმნას ჩემი გულიც: ამგვარად, პასეჟზე შევძლებ უკეთ მივიღო სიყვარულის შენი სიცოცხლე.

21

თებერვალი

დიდმარხვის I კვირადღე, «ბ», [I], ი

2021

კვირა

დაბ 9,8-15; ფს 24; 1პეტ 3,18-22; მარ 1,12-15

მოქეცით და იწამეთ სახარება მარ 1,15

შევაბიჯეთ წმიდა დიდმარხვაში, „ჩვენი მოქცევის
საიდუმლოებრივ ნიშანში“ (ლიტურგია).

სულო წმიდაო, შეგვეწიე! მოგვანიჭე ნათელი და
ძალა, რათა ჩენი გული მოვწყვიტოთ იმას, რაც
ოდენ გვართმევს ნამდვილი სიცოცხლის სიხარულს.

შევძლებთ მუდამ სახარებაში განსვენებას,
მარადიულ და ერთადერთ სასიხარულო ამბავში:
მამა იესოში გვიწვდის ნამდვილ სიყვარულს, ჩვენი
დარწყულება რომ ძალუძს.

22 თებერვალი

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

2021

ორშაბათი

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

თქვენ თვითონ ვინღა
გგონივართ მე? მთ 16,15

იესო, შენა ხარ ერთადერთი, ვისაც მუდამ ვუყვარვარ. იესო, შენა ხარ ძე ღვთისა, რომელიც მაცნობ მამას და მიგყავარ მასთან. იესო, შენ სიცოცხლე გაეცი ჩემთვის. იესო, შენა ხარ ცოცხალი და გვერდითმყოფი ჩემს ცხოვრებაში. იესო, შენა ხარ ერთადერთი, რომელმაც მუდამ ილაპარაკა და იმოქმედა მხოლოდ სიყვარულისათვის. იესო, შენა ხარ აღმდგარი, რომელიც მიმიძღვი, მელაპარაკები და მასაზრდოებ შენი ეკლესიის საშუალებით. იესო, შენა ხარ უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!

23 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I], ი

წმ. პოლიკარპე, ეპ. და წამ., +155

(10.11) წმ. ღირსი იოანე ჭიმჭიმელი VIს, მთარგმნელი

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

მ. სტეფანე დემურჩვილის (+1938) გახსენება

მამამ თქვენმა იცის,

რა გჭირდებათ მთ 6,8

რა არხეინად შემეძლო ცხოვრება, რომ მხსომებოდა, რომ ღმერთი ნამდვილად მამაა ჩემი! სამწუხაროდ თავისთავად არ მახსენდება, რომ მივენდო მას, თუმცა ეს დიდმარხვის ჟამი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მახსოვდეს, რომ მის ხელთა ვარ, რათა ვივარჯიშო მის ნდობაში და ვთხოვო უფრო მნიშვნელოვანი რამეები: მოტევება, სული წმიდა, მისი სასუფეველის დადგომა ჩემში და მსოფლიოში.

24 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [1], ი

2021 ოთხშაბათი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

აქ სოლომონზე უმეცესია ლკ 11,31

იესო, რა თქმა უნდა ტრაბახით არ იძახი ამას შენზე!
შენ გსურს მხოლოდ, რომ ადამიანი მოგენდოს
სრულად. შენ უწყი, რომ მამამ შენში სრულად
ჩადო თავისი სიყვარული, ყოვლისმპყრობლობა
ჩვენს დასახსნელად. როცა შენ გღებულობ, როცა
ვახორციელებ რომელიმე შენს სიტყვას, მაშინ
ნამდვილად ნეტარი ვხდები. მადლობა, იესო!

25 თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I], ი

(12.II) წმ. ღირსი პროხორე,

იერუსალემის ჯვრის მონასტრის ამშენებელი, XI ს

2021

ხუთშაბათი

ესთ 4,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

ითხოვეთ და მოგეცემათ მთ 7,7

მამაო, დღეს იესო მეუბნება, რომ გთხოვო. რა გთხოვო? შეგთხოვ წმიდა სულს! ის დამეხმარება
შენს შეყვარებაში, შენს შვილობაში, იესოსთან
ერთად. სიხარულით შეისმენ ჩემს თხოვნას, რაკი
თავად შენ ჩაღე ამაში ჩემი ნეტარება.
ახლავე მაღლობა შენდა, კეთილო მამაო!

26 თებერვალი

დიდმარხვის | კვირა [1], ი

2021

პარასკევი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი,
შემდეგ მოდი და შესწირე
შენი ძღვენი მთ 5,24

ზედაპირული, უსიყვარულო სიტყვა და ძმასთან თანხმობას ნისლი შეეპარა. დიდხანს არ შემეძლო ლოდინი, მოვძებნე იგი, გაგაგებინე, რომ არ ვიყავი მისგან განდგომილი. ეს შრომა აუცილებელი იყო: ვხვდებოდი, რომ მხოლოდ მშვიდობაში, მხოლოდ წმიდა სულში, მთელი ჩემი ცხოვრება შეიძლებოდა ყოფილიყო მამისათვის სათნო შესაწირავი.

27 თებერვალი

დიდმარხვის | კვირა [1], ი

2021

შ ა ბ ა თ ი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

გიყვარდეთ თქვენი მცრები მთ 5,44

ეს სიტყვები ადამიანური მენტალიტეტიდან ვერ გაჩნდებოდა, რომელიც, რაოდენ კეთილიც არ უნდა იყოს, ყოველთვის განსაზღვრული და განპირობებულია თავკერძობით. მომდინარეობს ღვთის გულიდან, რომელიცაა მამა და უსასრულო სიყვარული. იესომ ეს სიტყვები როდი გვითხრა მხოლოდ, არამედ საქმეზე გვიჩვენა. და სულიწმიდის მადლით, რომელსაც იგი გვანიჭებს, შეგვიძლია ჩვენც ხორცი შევასხათ მათ, როგორც მამის ნამდვილმა შვილებმა.

28 თებერვალი

დიდმარხვის II კვირადღე, «ბ», [II], ი

2021

კვირა

ღაბ 22,1-2.9:10-13.15-18; ფს 115; რომ 8,31-34; მარ 9,2-10

მათ წინაშე ფერი იცვალა მარ 9,2

რატომ მიეცა ეს ნიჭი მხოლოდ იესოსთან ერთად მთაზე სალოცავად ასულ სამ მოწაფეს? შესაძლოა იმიტომ, რომ ვნებისა და სიკვდილის გზაზე მოძღვრის ახლოდან მიდევნებისათვის მოხმობილთ ჰქონდათ ძალა სრულებით არ მიეტოვებინათ იგი და ამგვარად მიეღწიათ აღდგომის სიხარულისთვის.